Garantenstellung und Garantenpflicht

Im **georgischen Recht** macht sich eine Person nach Art. 8 Abs. 3 gStGB (Kausalzusammenhang des Unterlassens) wegen eines unechten Unterlassungsdelikts nur dann strafbar, wenn sie rechtlich dafür einzustehen hat, dass der tatbestandliche Erfolg nicht eintritt, wenn sie die Möglichkeit hatte, zu handeln, und wenn durch das pflichtgemäße und mögliche Handeln der Erfolg hätte vermieden werden können. Ebenso ist im **deutschen Recht** eine Person nach § 13 Abs. 1 dStGB (Begehen durch Unterlassen) aus einem unechten Unterlassungsdelikt strafbar, wenn sie rechtlich dafür einzustehen hat, dass der Erfolg nicht eintritt. Damit wird in **beiden Rechtsordnungen** für die Verantwortlichkeit wegen eines unechten Unterlassens die Notwendigkeit einer sog. „Garantenstellung" beschrieben. Die Garantenstellung kann sich sowohl nach **deutschem** als auch nach **georgischem Recht** aus Gesetz, aus Vertrag, aufgrund tatsächlicher Übernahme, aus einem pflichtwidrigen gefährdenden Vorverhalten (Ingerenz) und aus enger Lebensgemeinschaft entstehen. Die Garantenstellung begründet die Garantenpflicht. Die verpflichtete Person heißt Garant. Im **deutschen Strafrecht** wird zudem funktionell unterschieden zwischen Beschützergaranten, die Rechtsgüter vor Schädigungen bewahren, und Überwachergaranten, die Gefahrenquellen abschirmen. Außerdem muss das Unterlassen der Verwirklichung des gesetzlichen Tatbestandes durch ein Tun entsprechen (sog. Entsprechungsklausel), woran es bei Delikten fehlt, bei denen der Erfolg nur auf eine spezifische Art und Weise herbeigeführt werden kann. (Mwa/Kmt)

გარანტიის სტატუსი და გარანტის ვალდებულება

საქართველოს კანონმდებლობით, სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის (უმოქმედობის მიზეზობრიობა) მიხედვით, პირს შერეული უმოქმედობისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იურიდიულად ვალდებულია, რომ არ დადგეს ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი, თუ მას ჰქონდა მოქმედების შესაძლებლობა და ვალდებულების შესაბამისი და შესაძლო მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. ანალოგიურად, **გერმანულ სამართალში** პირი გსსკ-ის მე-13 პარაგრაფის 1-ელი ნაწილის (უმოქმედობით ჩადენა) მიხედვით, პირი შერეული უმოქმედობისათვის დაისჯება, თუ იგი კანონის მიხედვით პასუხისმგებელია იმისათვის, რომ შედეგი არ დადგეს. ამგვარად, **ორივე სამართლებრივ წესრიგში** შერეული უმოქმედობით პასუხისმგებლობისათვის მოცემულია გარანტის სტატუსის არსებობის საჭიროება. როგორც **გერმაულ** ასევე **ქართულ სამართალში** გარანტის სტატუსი წარმოიშობა ძირითადად კანონიდან და ხელშეკრულებიდან, ასევე ვალდებულების ნებაყოფლობით აღებიდან საკუთარ თავზე, ვალდებულების საწინააღმდეგო, საფრთხის შემქმნელი ქმედებიდან (ინგერენცი) და მჭიდრო ფაქტრობრივი თანაცხოვრებიდან. გარანტის სტატუსი აფუძნებს გარანტის მოვალეობას. ვალდებულების მქონე პირს გარანტი ეწოდება. **გერმანულ სისხლის სამართალში** ფუნქციონალურად ერთმანეთისაგან

განსხვავდება დამცავი გარანტი, რომელიც სამართლებრივ სიკეთეს დაზიანებისაგან იცავს და მეთვალყურე გარანტი, რომელიც საფრთხის წყაროს იზოლირებას ახდენს. გარდა ამისა, უმოქმედობა უნდა შეესაბამებოდეს კანონით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობის მოქმედებით ჩადენას (ე.წ. შესაბამისობის დათქმა), რაც აკლია იმ დელიქტებს, რომლის დროსაც შედეგი მხოლოდ სპეციფიკური გზით მიიღწევა. (Mwa/Kmt)